პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბერი

1975 პარასკევი 31 ოქტომბერი № 256 (16382) ფასი 2 კაპ. 1975

ყოველი დღე — დამკვრელი ხრალ!

მშენებლობის მუშაკებო! აამაღლეთ კაპიტალური მშენებლობის ეფექტურობა, დროულად აამოქმედეთ ახალი ობიექტები, გააუმჯობესეთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შეამცირეთ მისი ღირებულება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისათვის.

სკკპ XXV ყრილობის შესახებ

ДИДИ ШРОМИТИ ГАМАРЖВЕБА

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მეორე რიგის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას — მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მეორე რიგის მშენებლობის დიდი ოქტომბრის 58-ე წლისთავის წინ, ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დამთავრებასა და ექსპლოატაციოდ გადაცემას.

კოლექტივის შემოქმედებითი აქტიურობის, 1974 წელს კომბინატის პირველი რიგის ამუშავებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებით აღფრთოვანებული პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად გადაჭრილია მადნეულის სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის პასუხსაგები ამოცანები.

რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის დიდი საწარმოს აგებამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები, პრაქტიკულად ისახამს ხორცს ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, დაადასტურა, თუ რაოდენ თავდადებით იშრომეს მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ მეცხრე ხუთწლედის ეკონომიკურ ამოცანებს ასამუშავებელი სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კომბინატის მშენებლები, მემონტაჟეები და ექსპლოატაციის მუშაკები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის სკკპ XXV ყრილობის ეკონომიკურ ვალდებულებებს, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მოკლე ვადაში აამოქმედონ სრული სიმძლავრით, აითვისონ სპილენძის კონცენტრატების გადამუშავების ახალი მოწინავე მეთოდები, და ამით გაზრდიან რესპუბლიკის მშრომელთა წვლილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრის საქმეში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითს წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო



სურათზე: მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გამამდიდრებელი ფაბრიკის საერთო ხედი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩინებული საჩუქარი სკკპ XXV ყრილობას

მადნეულის მშენებელთა სახელოვანი გამარჯვება

მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, ექსპლოატაციის მუშაკებმა, რომლებიც ნაბმული არიან შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სახალხო-სულიერ დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58 წლისთავის წინ მოიპოვეს დიდი შრომითი წარმატება — ვადამდე საექსპლოატაციოდ გადასცეს საწარმოს მეორე რიგი, დამთავრდა რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ფლაგმანის — სკკპ. XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

საწარმოს მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორმა ი. გოგიტიძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— კომბინატის მშენებლობაზე დასაქმებულმა დამპროექტებელებმა, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა მოკლე დროში უდიდესი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს. საწარმოს პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებით აღფრთოვანებულებმა მათ კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და მოიპოვეს დიდი შრომითი წარმატება — ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ კომბინატის მეორე რიგიც. ამოქმედების ვადა წლის ბოლოდან ჯერ 7 ნოემბრისათვის; შემდეგ კი ოქტომბრის დამლევისათვის იქნა გადმოტანილი.

საექსპლოატაციო დარგის მუშაკებთან ერთად შემუშავებული იყო და წარმატებით განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი უაღრესად შემჭიდროებული გადასინჯული გრაფიკის შესრულების უზრუნველსაყოფად. ყველა ვალდებულება შესრულდა. პირველ ოქტომბრის სამრეწველო დატვირთვით ამოქმედდა გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნოლოგიური ჯაჭვი, დღეს კი კომბინატის მეორე რიგი დგება მწყობრში.

ეს წარმატება მიღწეულია მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა თავდადებული, ნამდვილად გმირული შრომის მეოხებით, შინაგანი რეზერვების უფრო სრული გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ჩქაროსნული მშენებლობისა და მონტაჟის ახალი მაღალეფექტიანი მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

მშენებლობაში თავი გამოიჩინეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის „მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კოლექტივებმა; „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სისტემის სუბსიჯარო ორგანიზაციების კოლექტივებმა და სხვებმა.

კომბინატის მეორე რიგს — ისევე როგორც პირველს, მთელი ქვეყანა აშენებდა. მადნეულში შეუფერხებელ ნაკადად მოედინებოდა სასწრაფო ტვირთი მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, ხვირდლოვსკიდან და რიაზანიდან, ჩელიაბინსკიდან და ენგელეევიდან, კრასნოიარსკიდან და ირკუტსკიდან, ბაქოდან და ერევნიდან, დნეპროპეტროვსკიდან და ნოვოსიბირსკიდან, სტავროპოლის მხარიდან და კემეროვოდან...

მადნეულისათვის მაღალკვალიფიციური მუშათა კადრები მოამზადეს ურუპინსკი და გაის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატებში, ბაუკრეთის სპილენძ-გოგირდის კომბინატში. მათ ამზადებს აგრეთვე № 25 სპეციალური პროფესიული-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მადნეულში მოქმედებს.

კომბინატის მშენებლობის მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ პირველი და მეორე რიგის გადასახსნელ სამუშაოებზე ამოღებული იყო მილიონობით კუბური მეტრი გრუნტი, ჩაისხა და დამონტაჟდა ათიათასობით კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დამონტაჟდა ათასობით ტონა ლითონსაკონსტრუქციები.

გასულ და მიმდინარე წლებში კომპლექსის მშენებლობაზე სასუალოდ მუშაობდა 2 ათასი კაცი. ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ჩამოვიდა მეცხრე ხუთწლედის ამ დამკვრელურ მშენებლობაზე კომკავშირული საგზურებით. გარდა ამისა, აქ შრომობდნენ საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმისა და სხვა სტუდენტური სამშენებლო რაზმები.

თავიანთ წარმატებას მშენებლები და მემონტაჟეები უძღვნიან საბჭოთა კავშირის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

— რა წარმატებანი მოიპოვეს კომბინატის პირველი რიგის ექსპლოატაციის მუშაკებმა?

— მივაღწიეთ ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისებას. მიმდინარე წლის 10 თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული და რეალიზებულია ასი ათასობით მანეთის პროდუქცია.

საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშოს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პროდუქცია უკვე მიდის ურალის, ხომბინის, ჩრდილოეთ კავკასიის გამამდიდრებელ ფაბრიკებში.

მშენებლისა, მემონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა შრომითი თანამგზობრობა, თვითეულ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებისათვის თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის (ხელმძღვანელი სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე) ინიციატივის ფართო მხარდაჭერა და თვითეული კვადრატული მეტრ საწარმოო ფართობიდან პროდუქციის ანართმის გადიდებისათვის ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივის ფართო მხარდაჭერა საშუალებას გვაძლევს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვათ დიდძალი სამრეწველო პროდუქცია, რაც 200 ათასი მანეთით აღემატება წინათ ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებებს.

კომბინატის მშენებლობა გაგრძელდება, და ეი რატომ. 20 წლის წინათ გეოლოგებმა კაზრეთის მთებში აღმოაჩინეს სპილენძის მადანი, რომელიც ასობით ჰექტარზეა გადაჭიმული. ყველა უსახელო მთა და მათი შემაერთებელი ზეგანი ეს მთლიანი მადნის სარტყელია, რომელიც შეიცავს ფერადი ლითონების მნიშვნელოვან მარაგს. მეათე ხუთწლედის დამდეგს, მეზობელი საბადოთა დაზვერვის დროს, აღმოჩნდა, რომ მადნის სარტყელი უფრო შორს მიდის. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ბუღობები ოთხჯერ აღემატება წინათ ნაპოვნს.

გაისად დასახულია კომბინატის მესამე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემა. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა პირობა დადეს არ დაიშურონ ძალ-ღონე და ცოდნა, მთელი შეძენილი გამოცდილება და აგრეთვე 30 დამდე, 1976 წლის 1 ნოემბრისათვის გადასცენ იგი საექსპლოატაციოდ.

(დასასრული მე-2 გვ.).

ძმური მეგობრობის ვითარებაში

30 ოქტომბერს კრემლში დამთავრდა საბჭოთა ელმძღვანელების მოლაპარაკება ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირნი;

ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ტანი ზანი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ლე ზუანი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტონ ფუ ბინი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზაციული კომისიის თავმჯდომარე ფამ ვანი ბინი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზაციული კომისიის მოადგილე ბუი ტინ ბინი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზაციული კომისიის მდივანი ფან ბინ ბინი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზაციული კომისიის მდივანი ბუი ბა ბინი, ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზაციული კომისიის მდივანი ფან ვან

მადნეულის მშენებელთა სახელოვანი გამარჯვება

ლაპარაკობენ სამეოცდამეათედიდრეული კომბინატის მშენებლები და ექსპლუატაციის მუშაკები

რომან ასპანიძე.

ვასილ ჩუბინიძე.

ბორის ნაუმენკო.

ლიდია მაკლიაკოვა.

ზაურ ცხვედიანი.

მშენებლობის კანონიერ ნოვატორული ძიება

რ. ასპანიძე,
„მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი

— აქ აშენდება ქალაქი, — თქვეს საქართველოს მშრომელებმა, როცა სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის შესახებ.

სულ ცოტა ხნის წინათ აქ არც ქალაქი იყო არც კომბინატი. აქ მხოლოდ მთები იდგა.

შემდეგ გაიშალა კარვები. საქმელს ჯერ კოცონზე ვაკეთებდით. ძმეერიდით. აღვნიშნავდით საზეიმო მოვლენებს: პირველ აფეთქებას, პირველი გრუნტის ამოღებას, პირველი სახლის აშენებას... ასე იწყებდნენ ამურის კომსომოლსკში, მაგნიტოგორსკში, ტუსთავში, სუმგაითში... ასე დაიწყო აქაც.

მიხეილ კაპანაძის მიერ გაყვანილ გზას ათასობით მანქანის თვალი ტკბებიდა. მთებში მოვიდნენ პირველი მშენებლები და ბანაკებიანი. მათ შორის მეც ვიყავი.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი პირველი დიდი ენერგეტიკული ძნელ პრობლემებს აყენებდა, რომლებიც მუშაობის პროცესში უნდა გადაგვეწყვიტა. მაგალითად, საწარმოო შენობათა ტოლსალური სიდიდე, მეტად რთული რელიეფი თავდაპირველად ბევრ დაბრკოლებას ქმნიდა მშენებლობის ტექნიკითა და მასალების მომარაგებაში, მწყობრი რიტმით მუშაობის უზრუნველყოფაში.

გამოსავალი იმაში ვნახეთ, რომ გამოვიყენეთ შოდენების მომზადების ნაკადური მეთოდი მოწყობილობის მონტაჟისათვის. მისი არსი ის არის, რომ სამუშაოთა მთელი ციკლი იყოფა კონვეიერული პრინციპით ცალკეულ დასრულებულ ოპერაციებად — ნაკადებად.

მშენებლობა მაშინვე გახდა ზუსტად რიტმული პროცესი, გაუმჯობესდა პერსპექტიული დაგეგმვაც. ამან მკვეთრად გაზარდა ძრომის ნაყოფიერება. გიუმჯობესდა სამუშაოთა ხარისხიც: ნაკადური მშენებლობის დროს ცალკეულ რგოლებს შორის დამყარდა ურთიერთკონტროლი, რამაც გაზარდა ყოველი კოლექტივის მოუთმენელობა, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე მომიჯნავისადმი.

ახლა მეთოდმა მოითხოვა სერიოზული ორგანიზაციული გარდაქმნა. შეიქმნა ტექნიკითა და მასალებით ნაკადების უზრუნველყოფის სპეციალური სამსახურები. ხელახლა შეგიმუშავეთ სოციალისტური შეჯიბრების პირობები, შეგეძენით მისი შტაბები, რომლებშიც შეიკრიბნენ ყველა ქვეგანაყოფის წარმომადგენლები. ამის შედეგად კოლექტივების შრომითმა მეტოქეობამ, რომელსაც ყველა უბანზე ფართო გაქანება მიეცა, გადამწყვეტი როლი შეასრულა კორპუსისშიდა სამუშაოთა დაჩქარებაში.

ახლა ნაკადების კოლექტივები უოველდღე ხედავენ თავიანთი ამხანაგების და იმათ შრომას, ვინც სამუშაოთა ფრონტს ამზადებს, იმათ შრომასაც, ვინც მათ ავალდებულებულ მიჰყვება. ვინმეს ჩაორნენა ნიშნავს ყველას შეფერხებას. თვალსაჩინოება, შედეგების შესადარება გამოცდილების აქტიურ გაცვლასა და ურთიერთდახმარებას წარმოშობენ.

მშენებლობა შაშინვე გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალური ოჯახი.

ბ. ნაუმენკო,
ექსკავატორის მემანქანე

თორმეტი წლის წინათ მე, ყოფილი მფრინავი, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და დავიწყე პირველი სახლების მშენებლობა, პირველი გზების გაყვანა მადნეულში. შემდეგ შევიწყვეტ ექსკავატორის მემანქანის პროფესია და დავიწყე პირველი გასახსნელი სამუშაოების შესრულება მადნის ამოსაღებად. ვამაყობ იმით, რომ ჩემმა ექსკავატორმა ამოიღო მადნის პირველი ფენები სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის, ვამაყობ იმით, რომ კვლავ ვდგავარ იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც საქართველოს მადნის ყამირს ითვისებენ.

ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებანი ხალხთა მეგობრობის მძლავრი ძალის შედეგია. კომბინატის მშენებლობისა და მისი მოწყობილობის გამართვის დროს აღიზარდა ექსპლოატაციის მუშაკთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც სამშობლოს ახარებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით.

ერთი ინტერნაციონალური ოჯახი

ბ. ნაუმენკო,
ექსკავატორის მემანქანე

თორმეტი წლის წინათ მე, ყოფილი მფრინავი, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და დავიწყე პირველი სახლების მშენებლობა, პირველი გზების გაყვანა მადნეულში. შემდეგ შევიწყვეტ ექსკავატორის მემანქანის პროფესია და დავიწყე პირველი გასახსნელი სამუშაოების შესრულება მადნის ამოსაღებად. ვამაყობ იმით, რომ ჩემმა ექსკავატორმა ამოიღო მადნის პირველი ფენები სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის, ვამაყობ იმით, რომ კვლავ ვდგავარ იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც საქართველოს მადნის ყამირს ითვისებენ.

ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებანი ხალხთა მეგობრობის მძლავრი ძალის შედეგია. კომბინატის მშენებლობისა და მისი მოწყობილობის გამართვის დროს აღიზარდა ექსპლოატაციის მუშაკთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც სამშობლოს ახარებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით.

მშენებლები, მეშონტაჟენი, ექსპლოატაციის მუშაკები ცხოვრობენ ერთ ოჯახად, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხების მეგობრობასა და ძმობას.

ჩვენს კომბინატში შრომობენ 15 ეროვნების წარმომადგენლები. ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით გამოიჩინეს თავი ილია კაპანაძემ და მარატ შამსუტდინოვმა, ლიდია მაკლიაკოვამ და იური სარუხანიანმა, სერგი გრიაზნოვმა და ვიქტორ საპატონოვმა, პეტრე კოსტენკომ და ოსვალდოს რუდელატიმ სულ სხვადასხვა ეროვნების ათობით სხვა წარმომადგენელმა.

ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. გაისად მწყობრში ჩადგება კომბინატის მესამე რიგი. ჩვენი დევიზია: ერთობლივი მეცადინეობით მივაღწიოთ მის უსწრაფესად გადაცემას საექსლოატაციოდ, ახალი საწარმოო სიმძლავრეების რაც შეიძლება მალე ათვისებას.

სამოცდაათიანი წლების კორჩაგინელები

ლ. მაკლიაკოვა,
კომბინატის ფლოტატორი

არ არის ისეთი მშენებლობა, სადაც კოკავშირის წარგზავნილები არ მუშაობდნენ. მეც, ისევე როგორც ჩემი მეგობრები, კოკავშირის საგზურით ჩამოვედი მადნეულში ორჯონიკიძის სამთო-მეტალურგიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ. კომბინატი ჯერ არ იყო და მეც მისი ერთ-ერთი მშენებელი გავხდი. ისევე როგორც ბიკალ-ამურის მაგისტრალზე, კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, აქაც საჭირო იყო ჩვენი მარჯვენა. ყველა ჩვენგანს გვესმის, თუ როდენ დიდმნიშვნელოვანია ჩვენი მშენებლობა, იგი ხომ გათვლისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით.

ემუშაობდი სხვადასხვა უბანზე — მებათქაშედ, მღებავად, მეშონტაჟედ, როგორც კი ამოქმედდა საფლოტაციო ფაბრიკა, სამუშაოდ იქ გამგზავნეს.

კომბინატის უველა კოკავშირელი კარგად მუშაობს, ყოველდღე უჩვენებს მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს. მომდინარე წლის დამდეგს მათ სიტყვა დადეს ვამოუშვან 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გადაწყდა მთელი მატებისათვის მიგვეღწია მოქმედი მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით შევიმუშავეთ შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი გეგმები.

ახლახან, შევაჯამეთ რა მუშაობის ცხრა თვის შედეგები, გამოვიანგარიშეთ, რომ მარტო კომბინატის კოკავშირელებმა გამოუშვეს 120 ათას მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

„ყოველი დღე დამკვრელური უნდა იყოს" — ასეთი დევიზით განვაგრძობთ მუშაობას, ვამრავლებთ საწარმოს შრომითს დიდებას.

კომუნისტები პირველ რიგებში

ზ. ცხვედიანი,
კომბინატის პარტკომის მდივანი

მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში 170 კომუნისტი შრომობს. ყველა ისინი არიან წარმოების მოწინავენი, ადამიანები, რომლებმაც მჭიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი საწარმოს, რომლებიც იზრდებიან და სხვებსაც ზრდიან დიალექტიკური საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, მისი ქმედითობის გადიდება — ეს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია.

შეჯიბრებაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილდე. დიდი მნიშვნელობა აქვს იზრენო იმისათვის, რომ ადამიანებს მუდამ თვალწინ ჰქონდეთ პერსპექტივა. ეს ხელს უწყობს ახალ წარმატებებს.

მომდინარე წლის დამდეგს, კომბინატის პირველი რიგის ამუშავებისთანავე კომუნისტებმა მიზნად დაისახეს ვადამდე აუთვისებინათ საწარმოს საპროექტო სიმძლავრე. ამის მთავარი გზაა მაქსიმალური ინტენსივობით გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრენი. ისეთი მოწინავე კომუნისტების მუშაობის გამოცდილებამ, როგორიც არიან უფროსი მფილტრავი ჯ. ელენტი, ზეინალი ბ. მეტრეველი, უფროსი ფლოტატორები, ტ. სელიმშვილი, ტ. დუბროვინა და სხვები, ცხადყო, რომ ყველა მუშაკს აქვს რეალური შესაძლებლობა დაიჩქაროს მადნის მსხვრევის, მისი დაკეცმაცების გარეცხვის პროცესები. აი სწორედ ამ პროცესების დაჩქარებისათვის მოუფუოდეთ ჩვენ მთელ კოლექტივს. მოწინავეთა მიღწევები თანდათან გადაიქცა იმ მაჩვენებლებად, რომლებისთვისაც ახლა იბრძვის მეტალურგთა ძირითადი მასა.

მშრომელთა ფართოდ ჩაბმა შეჯიბრებაში, ვალდებულებათა სწორად განსაზღვრა ჯერ კიდევ თავისთავად ვერ უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგებს. ფრიად მნიშვნელოვანია მუდმივი კონტროლი შეჯიბრების მსვლელობისადმი, მისი საჯაროობა. როცა ადამიანებმა იციან თავიანთი შრომის შედეგები, გრძნობენ ყურადღებას თავის მიმართ, მათ ებადებათ სურვილი კიდევ უკეთესად, მეტი ნაყოფიერებით იმუშაონ. ბრიგადებში შეჯიბრების შედეგების განხილვა იწყეს დეკადაში ერთხელ მაინც. კომბინატმი კი ჩვენ დავაწესეთ შეჯიბრების შედეგების შეჯამების ერთი საერთო დღე. ამ დღეს პატივს სცემენ და აჯილდოებენ საუკეთესოებს, სახავენ მორიგ ამოცანებს, აკრიტიკებენ ზარმაცებს. ამ დღეს უფარდებენ ლექციებს, კინოფილმების ჩვენებას, კონცერტებს. საამქროების, უბნების, ბრიგადებისა და პროფესიების მიხედვით შეჯიბრების შედეგები აისახება სპეციალურ სტენდზე.

შეჯიბრების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაზე. ამ მიზნით ჩვენ კომბინატში მოვაწყვეთ მოწინავე გამოცდილების სკოლები და კაბინეტი. კომბინატის კომუნისტებს არაერთხელ გამოუჩენიათ ინიციატივა, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, უფროსი მფილტრავი ჯემალ ყელტის წინადადებით დაიწყო შეჯიბრება ოპტიმალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის. პარტკომმა მზარი დაუჭირა ამ ინიციატივას და გაავრცელა მთელ საწარმოზე. ამ ამოცანის გადაჭრას ექვემდებარებოდა მთელი საავტიკეო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მასში ჩაებნენ აგიტკოლექტივები, ლექტორთა ჯგუფი. საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისების შემდეგ საწარმოს კოლექტივი აქტიურად ჩაება ეგრეთვე ოპტიმალური მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. ისინი, ვინც განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს ხალხით უზიარებდნენ ამხანაგებს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. შრომის ნაყოფიერება მოკლე ხნის განმავლობაში კომბინატში 20 პროცენტით გაიზარდა.

გავაჩაღეთ რა შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენ მთელ ყურადღებას ვუთმობთ რესპუბლიკის ფურადი მეტალურგიის სწრაფი განვითარების მიღწევას.

მტკიცე ტემპი

ბ. ასათიანი,
„ხაშურენერგოტაჟის" თბილისის სამმართველოს მეშონტაჟე.

ჩვენმა კოლექტივმა კომბინატის მონტაჟის დიდი და რთული სამუშაოები შეასრულა. მოკლე ვადაში დავამონტაჟეთ ათიათასობით ტონა უნიკალური მოწყობილობა, რთულ სამთო პირობებში შევასრულეთ მაღლივი სამუშაოები.

ამისათვის საკმაო გამოცდილება გვქონდა. ჩვენს სამმართველოში მომუშავე ბიჭებს დაუმონტაჟებიათ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური საწარმოები, სხვა დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები. სწორედ ეს გამოცდილება გამოვიყენეთ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი და მეორე რიგის მონტაჟის დროს.

აქ, მადნეულში, ჩვენმა ბრიგადამ სამონტაჟო სამუშაოებში გამოიყენა ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის მეთოდი. დაჯგუფდნენ რა ორ „ქვეგანაყოფად", მემონტაჟეები მოწყობილობის კვანძებისა და დეტალების აწყობისათვის მზადებასთან ერთად ეწეოდნენ არმატურის შედუღებას, ბეტონის ჩასხმას. ამან ბევრად დაჩქარა მონტაჟის პროცესები.

დიდი დახმარება გაგვიწია ავრეთვე სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შეთავსებულმა გრაფიკმა. ყველა სამსახურის მჭიდრო ურთიერთმოქმედებისათვის რომ მიეღწიოთ, მშენებლებმა, მონტაჟეებმა და მოწყობილობის მიმწოდებლებმა დაიდეს კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამის მეოხებით მიღწეულ იქნა მთელი სამშენებლო კოხვეიერის რიტმული მუშაობა. ახლა ბევრი მანქანისა და მოწყობილობის, ლითონკონსტრუქციების მონტაჟი მიღებისთანავე მიმდინარეობს.

კარგი სამსახური გაგვიწია კიდევ ერთმა სიახლემ — ტექნოლოგიური მოწყობილობის მსხვილ ბლოკებად მიღებამ. ამ შემთხვევაში ობიექტზე ტექნიკა მოდის არა ცალკე კვანძებად, არამედ უკვე აწყობილი. შრომის ორგანიზაციის პროგრესულმა ფორმამ საშუალება მოგვცა თითქმის სანახევროდ შეგვემცირებინა მონტაჟის შრომატევადობა, მკვეთრად გაგვიდიდებინა მემონტაჟე ზეინკლების დღიური გამომუშავება.

კარგი შრომითი განწყობილებით ეგებებიან ჩვენი მემონტაჟეები როგორც სკკპ XXV ყრილობას, ისე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მეორე რიგის მონტაჟის დამთავრების შემდეგ, შეუფერებენ მისი მესამე რიგის მონტაჟს, რომელსაც იმედია აგრეთვე ვადამდე დავამთავრებთ. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ბ. ჭელიძეს — საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე ჭელიძეს შვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1975 წლის 30 ოქტომბერი.

ზუსტად აღვრიცხოთ საკვები

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 27 ოქტომბრისათვის

(პროცენტობით)

		მათ შორის			
	სულ უფლებიანი საკვები*	თივა*	სენაჟი**	სხვა უფლებიანი საკვები	ბოსტნეული
ახალქალაქის	111	107	105	79	41
ბოგდანოვკის	109	90	103	91	97
ახალციხის	138	113	106	111	64
ადიგენის	163	165	108	100	66
ასპინძის	141	102	102	87	94
ხაშურის	163	153	154	108	115
ქარელის	120	114	106	99	99
გორის	137	142	127	89	87
კასპის	101	88	116	79	42
ბორჯომის	124	93	126	118	62
საბარეჯოს	121	111	89	100	59
გურჯაანის	123	98	130	69	91
სიღნაღის	122	170	77	100	29
წითელწყაროს	118	126	103	105	56
თელავის	113	122	92	95	48
ახმეტის	115	89	84	96	45
ყვარლის	124	89	77	99	54
ლაგოდეხის	97	89	64	90	46
ბარდაბნის	156	144	104	119	54
მცხეთის	125	135	102	61	45
მარნეულის	128	81	155	110	57
ბოლნისის	100	73	71	74	26
წალკის	84	68	105	45	43
დუშეთის	114	92	110	127	33
თეთრიწყაროს	100	83	99	69	30
დმანისის	106	103	100	65	100
თიანეთის	117	80	136	73	44
ყაზბეგის	66	66	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	110	90	102	82	33
წყალტუბოს	62	298	108	23	88
სამტრედიის	59	138	112	20	100
წულუკიძის	78	91	71	64	90
ვანის	83	197	101	34	92
მაიაკოვსკის	130	372	112	91	110
ზესტაფონის	102	120	102	80	95
თერჯოლის	89	290	156	58	90
ჭიათურის					
საქალაქო	106	180	107	81	102
საჩხერის	97	124	109	75	77
ორჯონიკიძის	101	129	100	87	100
ტყიბულის					
საქალაქო	80	317	101	44	68
ონის	117	116	104	83	71
ამბროლაურის	104	111	100	84	99
ცაგერის	97	122	122	67	77
ლენტეხის	107	101	100	134	—
აბაშის	46	152	102	—	134
ცხაკაიას	73	95	100	22	103
გეგეჭკორის	56	128	108	28	99
ზუგდიდის	60	113	91	19	93
ხობის	48	105	105	6	101
წალენჯიხის	107	115	108	69	89
ჩხოროწყუს	83	108	100	55	100
მახარაძის	67	137	124	23	99
ლანჩხუთის	106	104	194	60	140
ჩოხატაურის	97	158	123	36	100
აფხაზეთის ასსრ	61	129	94	9	61
აჭარის ასსრ	126	127	98	64	99
ს უ ლ	106	103	104	69	69

*) ვალდებულების გაუთვალისწინებლად.
**) გეგმა-დავალების შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

დიდი საზრუნავი აქვთ ამ დღეებში რესპუბლიკის მეცხოველეებს. ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ისინი ცდილობენ გაზარდონ პროდუქციის გამოშვება, მტკიცე საფუძველი შეუქმნან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კარგ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც მეცხოველეობისა და მისი საკვები ბაზის განვითარებას უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნევენ.

გვიან შემოდგომაზეც შეიძლება გამოინახოს საკვების მარაგის შევსების რეზერვები. მინდვრებში დარჩა მემინდვრეობის ბევრი ნარჩენი, გრძელდება ბოსტნეულის მოსავლის აღება, რაც აგრეთვე აიარათად მეურნეს აძლევს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნედლეულს დასახილოსებლად, ვიტამინიანი ფქვნილის დასამზადებლად. სწორედ ასე იქცევიან ხაშურისა და ქარელის რაიონების მეტ წილ მეურნეობებში, სადაც უკვე შექმნეს ყველა სახეობის საკვების საიმედო მარაგი. საკვებით დაკმაყოფილებულია ფერმების მოთხოვნილება უხეშ საკვებზე, თივაზე, სენაჟზე ახალციხის, ადიგენის, ბორის, ნიოლეწყაროს, გარდაბნის, ლენტეხის რაიონებში. სულ კი რესპუბლიკაში, როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, თივის, უხეში საკვების, სენაჟის დამზადების გეგმა უკვე შესრულებულია.

ტექნიკის უნარიანი გამოყენების გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ ახლა, ფურაჟის მასობრივი დამზადების გადამწყვეტ დღეებში.

ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რაიონებისათვის, სადაც დაშვებულია ჩამორჩენა. საქმე ეხება წალკის, ბოლნისის, წულუკიძისა და სხვა რაიონებს, რომლთა ფერმები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან უხეშ საკვებისა და სილოსის საიმედო მარაგით.

საჭიროა ყველგან ავამოქმედოთ რეზერვები, რაც შეიძლება მეტი უკუგებით გამოვიყენოთ ტექნიკური საშუალებანი. უნდა გამოვიყენოთ კვების მრეწველობის ნარჩენები, მწვანე წიწვი, სიმინდის ღერო.

ახლა საჭიროა სწორად გავანაწილოთ დაგროვილი მარაგი, ზუსტად აღვრიცხოთ მთელი ფურაჟი, შესანახავად ჩავაბაროთ იგი პასუხისმგებელ პირებს.

მრავალი წლის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მიზანშეწონილია საკვების სპეციალური მომზადება პირუტყვის კვებისათვის. ამისათვის საჭიროა წინასწარ მოვამზადოთ მექანიზებული საამქროები, რათა მთელი ფურაჟი მხოლოდ დამუშავებული სახით მივცეთ პირუტყვს. ეს საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეული კილოგრამი თივა, სილოსი, სენაჟი, ბალახის ფქვნილი და ზამთრის პირობებშიც გავზარდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა. (საქინფორმი).

ქნგარიშვეგა-ქარჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ყველა უბანს — თანაბარი ყურადღება

სოფელ ხევის (ორჯონიკიძის რაიონი) მშრომელებს უყვართ ვაზი, არც მისი მოვლა-პატრონობის წესები ეშლებათ, მაგრამ დასანანია, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ყველაფერი არ იღონეს შევინახვობის ალმაცერობისათვის, დაირღვა ტრადიცია, სანანებელია, რომ ბევრ ადგილას ყურძენის წარმოების გეგმა. მიზეზი? როგორც კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მდივანმა, მომხსენებელმა ც. კურტანიძემ, სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა ვ. კ. და მ. გრიგალაშვილებმა, პ. და ვ. ხაჩიძეებმა, უ. ტაბატაძემ და სხვებმა აღნიშნეს, დროულად არ შესრულდა აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებები, ვენახებში არ შეიტანეს ორგანული სასუქი, რაც მთავარია, სათანადო კონტროლი არ განახორციელეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე.

— ყველა ეს ნაკლი, — ამბობდნენ ისინი, — იმის შედეგი იყო, რომ სუსტად წარმოებდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია, ცალკეული კომუნისტები სუსტად იბრძოდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედით დასახული ამოცანებისა და დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებების, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. რეგულარულად არ ტარდებოდა ბიუროს სხდომები, პარტიული კრებები, არ ხორციელდებოდა კონტროლი პარტიული გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ყველა კომუნისტი როდი ინერგება შრომითს აქტივობას, არ ნანდა მათი ავანგარდული როლი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების საქმეში. ზოგიერთი კომუნისტი — ე. სახვაძე, ს. გრიგალაშვილი, პ. ხაჩიძე, უ. ტაბატაძე, ნ. ხაჩიძე, არიგეოდნენ საწესდებო მოთხოვნებს, ნ. და შ. ხაჩიძეები უნებართვოდ წავიდნენ რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს აგიტკოლექტივის მუშაობა. ილაპარაკეს საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, იმაზე, რომ აგიტატორები იშვიათად დადიან თავიანთ საგიტაციო უბნებში, იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური დოვლათი. საუბრებს გადაჰკრავს ზოგადი ხასიათი, მოკლებულია კონკრეტულობას, არ არის დაკავშირებული ცხოვრებისეულ საკითხებთან, სუსტად არის დაუენებული თვალსაჩინო აგიტაცია.

კრებაზე ილაპარაკეს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საკითხებზე. აღნიშნეს ნაკლოვანებები: კომუნისტთა ერთი ნაწილი უმიზეზოდ აცდენდა მეცადინეობას, ზოგჯერ კი მოუმზადებლად ცხადდებოდა. ისიც თქვეს, რომ დამკვიდრებული არ იყო პარტიული ხელმძღვანელობა პირველადი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი, ამიტომაც დაბალია კომკავშირელების აკტივობა ორგანიზაციული როლი საკოლმეურნეო საქმიანობაში. პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად ვერ წარმართავდა კედლის გაზეთის მუშაობასაც.

სოფელში 41 კომუნისტია, ეს პატარა ძალა როდია, თქვეს კრების მონაწილეებმა და მოიყვანეს მაგალითები იმისა, რომ სადაც კომუნისტები მონდომებით შრომობენ, საკოლმეურნეო შრომის აკტივობაში დგანან.

კრებაზე მიღებულ დადგენილებაში აისახა კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, სურვილები, წინადადებანი... იგი ახალარჩეულ პარტბიუროს დაეხმარება მკვეთრად გაუმჯობესოს საქმიანობა, რომ კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად მიაღწიოს ყველა დარგის თანაბარ აღმავლობას.

ბ. ჭანტურია.

ტრანსპორტის მუშაობა — განსაკუთრებული ზრუნვა

ნოგირ შევამციროთ ავარიები, თუ ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვი რესპუბლიკაში განუწყვეტლივ იზრდება? როგორ მოვაგვაროთ საგზაო მოძრაობის ეფექტიანი მართვა, მეზანდასახულად გავუწიოთ ზემოქმედება ამ პროცესს და მის კომპონენტებს — ადამიანს, ავტომობილსა და გზას, რათა უზრუნველვყოთ მოავარი — უსაფრთხობა.

ამაზე მიმდინარეობდა საუბარი უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე. ინფორმაცია „მიმდინარე წლის ცხრა თვის მანძილზე რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და მათი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო-მეტრანსპორტო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილემ დ. სოლორაშვილმა.

აღინიშნა, რომ 1975 წლის ცხრა თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი 9,7 პროცენტით გაიზარდა. ყველაზე მეტი (44 პროცენტი) შემთხვევა მოდის ავტომობილების ინდივიდუალურ მფლობელებზე. შარშანდელთან შედარებით ზრდა 19,4 პროცენტს შეადგენს.

ქალაქების ქუთაისისა და გორის, ბაშის, ახალქალაქის, ლენტეხის, მესტიის, საჩხერის, თეთრიწყაროსა და ჩხოროწყუს რაიონების გარდა, საგზაო შემთხვევების ზრდის ტენდენცია რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონშია.

ავარიულობის შემცირებისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა დავარწმუნოთ თვითეული ადამიანი, რომ მისი საკუთარი უსაფრთხოება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასზე, რომ დადგა დრო ყველაზე სერიოზულად მოეკიდონ იმას, შეუძლიათ თუ არა გაერკვნენ და იმოქმედონ თანამედროვე საგზაო მოძრაობის რთულ ვითარებაში.

უნდა მივაღწიოთ ავრეთვე, რომ თვითეულმა ხელმძღვანელმა, თვითეულმა სპეციალისტმა, რომლებიც მონაწილეობენ გზებთან და მოძრაობასთან დაკავშირებულ საქმეებში, ნათლად წარმოიდგინოს, რომ იგი წყვეტს არა მარტო წმინდა ტექნიკურ საკითხებს, არამედ ხშირად მის ხელშია დიდმნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის ბედი. ავტომობილის ყოველგვარი სრულყოფა, გზის ყოველი გაუმჯობესებული მეტრი ან თავის ადგილზე დადგმული საგზაო ნიშანი ხომ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას იცავს.

ყველაზე მწვავე პრობლემა უაღრესი მოძრაობის ორგანიზაციის ღონისძიებათა კომპლექსში კვლავ გზების მდგომარეობაა. საჭიროა, ეკრძოდ, რომ მკვეთრად გაუმჯ

მოძმე ხალხთა სოლიდარობა

(დასასრული)

მშვიდობისათვის ბრძოლაში დაუცხრომელი ღონისძიებების შედეგით საბჭოთა კავშირმა ხელი შეუწყო „ცივი ომის“ იმპერიალისტური პოლიტიკის დამარცხებას.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში უმაგალითო შესანიშნავ გმირობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის, იგი გახდა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ხალხთა იმედის წყარო.

ვიეტნამელი ხალხი ყოველთვის დიდი სიამაყის გრძნობით აღვენებს თვალს საბჭოთა ძმებისა და დების თვითეულ ძლევამოსილ ნაბიჯს მძლავრი სამშობლოს მშენებლობის საქმეში.

ჩვენ ძალიან გვახარებს სკკპ მომავალი XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი, რომელიც გახდება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა და, უეჭველ, საბჭოთა კავშირის ახალი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ვიეტნამელი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი ენთუზიაზმითა და დიდი ნიჭით განუზრელად იცავს წინ და ყოველთვის მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და ოქტომბრის რევოლუციის დროშას, თვალსაჩინო წვლილს შეიტანს მთელი მსოფლიოს ხალხთა რევოლუციურ ბრძოლაში!

როცა ვიეტნამს ჯერ კიდევ მონობის უკუნი ღამე დასწოლოდა, თქვა შემდეგ ლე ზუანმა, პირველმა ვიეტნამელმა კომუნისტმა, ამხანაგმა ხო ში მინმა ლენინიზმი მიიჩნია სამშობლოსა და ერის ხსნის გზად. გადალახა რა მთები და ზღვები, იგი მივიდა ლენინთან, საბჭოთა კავშირში, და ჩადო პირველი ქვა ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობის საძირკველში. აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ჩვენი ორი ქვეყნის ხალხები სუნთქავენ ერთი სუნთქვით, მათი გული შეწყობილად ძგერს, ჭირსა და ლხინში ისინი მუდამ ერთად არიან. რევოლუციური ბრძოლის ქარ-ცეცხლში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა საერთო იდეალებით გაერთიანებული ჩვენი ხალხების ძმობა. ისევე როგორც მთელი მსოფლიოს რევოლუციონერებს, ვიეტნამელ კომუნისტებს ამთავითვე საბჭოთა კავშირი მიაჩნდათ სოციალიზმის სამშობლოდ, თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად თვლიდნენ დაეცვთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრები და მხარი დაეჭირათ საბჭოთა კავშირისათვის.

ვიეტნამის რევოლუციის დაწყების მომენტიდან ვიეტნამში დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სოციალიზმის ახალგაზდა სახელოვან ეპოქამდე ლენინის პარტია და საბჭოთა ხალხი მუდამ ჩვენი ერთგული ამხანაგები და მეგობრები იყვნენ, მთელი სულითა და გულით უწევდნენ მხარდაჭერასა და დახმარებას ვიეტნამის რევოლუციას.

ლე ზუანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიისადმი წინააღმდეგობის ომის მსვლელობაში, ვიეტნამში სოციალიზმის მშენებლობის დროს საბჭოთა ხალხის, რომელსაც ამოძრავებს მაღალი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ვიეტნამის მხარდაჭერა და დახმარება გულის კარნახად, თავისი სინდისის საქმედ მიიჩნდა.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მოიყვანა ვიეტნამელი ხალხისათვის საბჭოთა ადამიანების უანგარო დახმარების მრავალი მაგალითი. სიტყვები „ღონგტი ლენინ“ („საბჭოთა ამხანაგი“), თქვა მან, მეტად ახლოები გახდა თვითეული ვიეტნამელისათვის. ეს შარიტად არ არის ისეთი საზომი, რომლითაც შეიძლებოდეს ვიეტნამისადმი საბჭოთა ადამიანების ღრმა გრძნობების გაზომვა. ლე ზუანმა მთელ საბჭოთა ხალხს გამოუცხადა თანამემამულეთა და თავისი ქვეყნის მებრძოლთა ღრმა და მარადიული მადლობა დიდი და ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

შემდეგ ლე ზუანმა ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაზე თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ბრწყინვალე გამარჯვება, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სწორი პოლიტიკური, სამხედრო და დიპლომატიური ხაზის გამარჯვება, ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა, და მჭიდრო შეკავშირების გამარჯვებაა, ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა საერთო გმირობაა, რომლებიც ყოველთვის მხარდამხარ იდგნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, თვითეული ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს არის სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების საერთო გამარჯვება.

ეს გამარჯვება, თქვა შემდეგ ლე ზუანმა, მოწმობს იმპერიალიზმის, კერძოდ ამერიკის იმპერიალიზმის შემდგომ შესუსტებას, სოციალისტური ძალების, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე წინსვლას, რომლებიც თანდათან ავწროვებენ, ნაწილ-ნაწილ ამსხვრევენ იმპერიალიზმს. ამჟამად იმპერიალიზმს, ამერიკის იმპერიალიზმსაც კი არ ძალუძს ერთი მტკაცელი მიწა მანც წაართვას რომელიმე სოციალისტურ ქვეყანას, არ ძალუძს უკან დაახვევინოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არ ძალუძს ხელი შეუშალოს ქვეყნებს იარონ სოციალისტური განვითარების გზით.

ჩვენს ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ ვიეტნამის რევოლუციის მსოფლიო რევოლუციის ნაწილია, ყველა ჭისი გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და ხალხების სამშათიანა და მხარდაჭერასთან. თავის მხრივ, ისევე როგორც წინათ, ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი კვლავაც ყოველნაირად დაუჭერენ მხარს საერთაშორისო სოციალისტურ და მუშათა მოძრაობას, მხარს დაუჭერენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სამართლიან ბრძოლას მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ასრულებს რა პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძსა, ვიეტნამის მშრომელთა პარტია კვლავაც ერთგულ წვლილს შეტანს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე მომზე პარტიებისა და სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების აღდგენაში, მომზე პარტიებთან ერთად იბრძოლებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალების სულ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებისათვის.

ახლა ვიეტნამელი ხალხისათვის დაიგა ახალი ეპოქა, ერთიანი და სოციალისტური სამშობლოს მშენებლობის ეპოქა, თქვა შემდეგ ლე ზუანმა. გადაჭრილა განსაკუთრებით ნათელი პერსპექტივები. ორატორმა დაახასიათა 30-წლიანი ომისა და კოლონიური რეჟიმის მძიმე შედეგების ლაკონიკური ძირითადი მიმართულებანი. მან აღნიშნა, ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მთავარ როლს წვრილი წარმოება ასრულებს, იქნება ეს სამხრეთი თუ ჩრდილოეთი ვიეტნამი, სოციალიზმის მშენებლობისათვის საჭიროა ერთდროულად მოვახდინოთ სამი რევოლუცია: რევოლუცია საწარმოო ურთიერთობის დარგში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და რევოლუცია იდეოლოგიისა და კულტურის დარგში, რათა შეექმნათ ახალი წყობილება, ახალი ეკონომიკა და აღვზარდოთ ახალი ადამიანი.

ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე და ენერგია შეალიოს ქვეყნის მშენებლობის საქმეს, საბრძოლო გმირობა აქციოს მშვიდობიანი აღმშენებლობის ჰეროიკად.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „სრულიად გარკვევით მიწდა ხაზი გავუსვა: თქვენს მშვიდობიან სოციალისტურ მუშაობაში კვლავაც შეგიძლიათ მტკიცედ იქონიონ ლენინის პარტიის, საბჭოთა ქვეყნის მხარდაჭერის იმედი“. ეს სიტყვები, განაცხადა ლე ზუანმა, გვინერგავენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ხალხი, რომელიც წინათაც სულითა და გულით ეხმარებოდა ვიეტნამელ ხალხს მთელი ვიეტნამის ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისა და ეროვნული ეკონომიკის ამოქმედებით, აზროვნებით, ცხოვრებით, ძოდვაწყობით ავეტიქ ისაკიანი ასახავდა და განასახიერებდა სომეხი ხალხის ისტორიულ ბედს, მისი ეროვნული ხასიათის საუკეთესო ამაღლებულ თვისებებს, მის გმირულ და ვაჟკაცურ სულს, მის სიბრძნესა და დიდბუნებოვნებას, მარადიულ ქედუხრელ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, დედამიწაზე ნათელი და სამართლიანი ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

როდესაც თავისი სამშობლოს იმვიათად ხასტიკ, მრისხანე და გმირულ წარსულს ახასიათებდა, პოეტი წერდა: „ძე ნამდვილად ვამაყობ, რომ ამ მებრძოლი გმირი და უკვდავი ხალხის შვილი ვარ“, და მართლაც, როგორც ყოველი ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, იგი ღვიძლი შვილი იყო თავისი ქვეყნისა, თავისი ხალხისა. მისი პოეზიის მომაჯადოებელი მუსიკა, იმვიათი მელოდიურობა, ის მოძხიბვლელი შინაგანი ამღერება, რაც ავეტიქ ისაკიანის პოეტური ბუნების ერთ-ერთ უმაღლეს ღირსებას შეადგენს, სწორედ სომხური მუსიკალური ფოლკლორის უმდიდრესი წყაროებიდან მომდინარეობს, ხალხური სიმღერების ჰანგებსა და ინტონაციებს ემყარება. სომხური პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის სამყაროსთან განუყოფელ, სისხლხორცეულ ერთიანობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ავეტიქ ისაკიანის პოეტური ინდივიდუალობა და ეს ერთიანობა იმდენად ორგანული და ჰარმონიული იყო, რომ ხშირად პოეტის ლირიკული შედევრები ადვილად იქცეოდა ხოლმე ხალხურ სიმღერებად, რომლებსაც, როგორც საკუთარ შემოქმედებითს წიაღში წარმოშობილთ, იზეპირებდა და მღეროდა ხალხი.

ერთხელ, 1948 წლის ივნისში, როცა ერევანში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესია მიმდინარეობდა, გვიან ღამით ავეტიქ ისაკიანის ოჯახიდან დაბრუნებულნი გორგი ლეონიძე და მე ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში დავსეირნობდით და დიდ პოეტთან ხანგრძლივი საუბრით აღძრულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. გზად მეეზოვე შემოგვხვდა, რომელიც ქუჩას ბგვიდა და რაღაც საოცრად ნაღვლიან სიმღერას ღიღინებდა. გ. ლეონიძე გამოსაუბრა უცნობს, გამოკითხა, რას მღერიო, რა არის სიტყვები, შინაარსი ამ სიმღერისაო. გამოირკვა, რომ მეეზოვე ავეტიქ ისაკიანის სიტყვებს მღეროდა, თვითონ კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს ნამდვილად ხალხური სიმღერა იყო. ასე იყო შედეგებული და შესისხლხორცებული დიდი ვარპეტის პოეტური ენა ხალხური ზეპირსიტყვაობის სამყაროსთან.

— თავის ადრინდელ ლირიკულ შედევრებში, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში იწერებოდა, სომეხი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე და შემზარავ ხანაში, პოეტი უსაზღვრო სევდითა და ნაღვლით, მწვავე გულისტკივილით აღსავსე სიმღერებში გამოთქვამდა მშობელი ხალხის უკმაყოფილებას, მის სულიერ წყლულებსა და ტკივილებს, მის თავზე დატრიალებული ისტორიული უკუღმართობით წარმოშობილ ბოღმას და შეშფოთებას. სწორედ ამიტომ უწოდა მამინ პოეტმა თავისი ლექსების პირველ კრებულს, რომელიც 1898 წელს გამოცა, „სიმღერები და ჭრილობები“. დიახ, ეს [illegible] მღელვარე, გულის სიღრმეშდე შემძვრელი სიმღერები ხალხის გულის ჭრილობები იყო. შემდეგ, როცა ორი საუკუნის მიჯნაზე, სომეხი ხალხის, ისევე, როგორც იმდროინდელი რუსეთის იმპერიის სხვა ხალხების ცხოვრებაში დიდი გამათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც მაღე 1905-1907 წლების რევოლუციად გადაიზარდა, ავეტიქ ისაკიანმა, სულიერი განმაჯანყოფნისა და უიმედობის საგალობელი ერთბამად შეცვალა საბრძოლო ყიჟინად, ხალხის გამომაფხიზლებელ, საბრძოლო ჰიმნად და თავის პოეტურ სამყაროში ფართო გზა გაუხსნა უკიდურესად დაბალი და გამძაფრებული ხოცაალური სინამდვილის ატმოსფეროს. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შედეგად ჩვენს სამშობლოში დროებით ფრთაასხმული რეაქციის გაადფრეულო თარეშს პოეტი გამოეხმაურა ბნელი და სუსხიანი გარემოცვისადმი შეურიგებელი ზიზღით გამსჭვალული ისეთი პოეტური ქმნილებებით, რომელთა იდეური და ესთეტიკური ღელვა მკაფიოდ არის გამოხატული. ეს არის საქვეყნოდ სახელგანთქმული პოემა „აბულ ალა მაარი“, რომელიც ამ პერიოდის მსოფლიო პოეზიის უცილობელ შედევრად არის აღიარებული. თავისი დამონებული სამშობლოსაგან ნაძალადევად და ხანგრძლივად გადახვეწილი, უცხობაში, სულიერ ობლობაში, „სამშობლოს კვამლის“ ნატვრაში გაწამებული პოეტი აღფრთოვანებით შეეგება ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვებას და ამ სწორუპოვარი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით აღფრთოვანებულმა შექმნა პოემა — „უმცროსი მეკრი“, რომელშიც სასუნელი გმირის სახე თავისებური პოეტური ინტერპრეტაციით გამოხატა, როგორც სომეხი ხალხის გმირული სულის უძლეველობის, მისი უკვდავების, თავისუფლებისა და კეთილდღეობის ცოცხალი სიმბოლო.

თავისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე, დიდი პოეტი თავისი ხალხის ცხოვრების ისტორიას, ასე განუყრელად და ერთგულად ემსახურებოდა იგი ხალის სასიცოცხლო ინტერესებს, მის ოცნებებსა და მისწრაფებებს. ამიტომაც არის იგი აღიარებული დიდ ეროვნულ პოეტად. სწორედ ამიტომ მოიხვეჭა მან განუზომელი სიყვარული, მადლიერება და პატივისცემა ხალხის უფართოეს ფენებში. მას ხალხმა „ვარპეტი“ უწოდა, ე. ი. ოსტატი, „მოძღვარი“.

მაგრამ როგორც ყოველი ჭეშმარიტად დიდი ეროვნული პოეტი, ავეტიქ ისაკიანი თავისი მშობელი ხალხის ახრებსა და სულიერ ტკივილებს თუ სახარულს, ოცნებებსა და მისწრაფებებს განზოგადებულად, ამაღლებულად, ეპოქის საერთო სულიერი აგზნისფერის პროცესებთან, საუკუნის საკაცობრიო იდეალებთან დაკავშირებულად გამოხატავდა. ავეტიქ ისაკიანი არ ყოფილა ეროვნულად ვარჩაკეტილი შემოქმედი და მოაზროვნე. ქოტს სწამდა, რომ „ჩვენი პირადი გული განუყოფელი ნაწილია ზოგადაკაცობრივი გულისა“ და ამიტომაც იგი უღრმესი ყურადღებით და ინტერესით ისწრაფოდა ჩასწვდომოდა ყველა ცივილიზებული ერის კულტურას, ლიტერატურას, ფოლკლორს, გამოეყენებინა ყოველივე ეს თავის შემოქმედებაში და თვითონაც შეეტანა თავისი წვლილი ზოგადადამიანურ სააზროვნო და შემოქმედებითს ცხოვრებაში, ყოველთვის, როდესაც თავის უსაყვარლეს ფურცლებზე და სულიერ წინამორბედებზე ლაპარაკობდა, იგი დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ისხენიებდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის ცნობილი სიტყვის კორიფეებს: ჰომეროსს, გოეთეს, მოთა რუსთაველს, ჰაფეზს, საადის, პუშკინს, ლერმონტოვს, ბაირონს, შილერს, მიცკევიჩს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სხვებს. ავეტიქ ისაკიანის პოეზიაში ნათლად იერანობა ფართო, ზოგადაკაცობრიული სააზროვნო დიალაზონი.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა, ავეტიქ ისაკიანმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა, სადაც მშობელი მიწაწყლის ნატვრა, ახლობლებთან, ნათესავ-მეგობრებთან, მშობლიურ გარემოცვასთან ძალდატანებითი დაშორება მწვავე ტკივილს, ღრმა დრამატიზმით აღსავსე ჰანგებს ამკვიდრებდა მის პოეზიაში. ეს მისი მწუხარე და სევდიანი სიმღერები ამაგე დროს მთელი სომეხი ხალხის ისტორიულ დრამას გამოხატავდა.

მრავალმხრივად და მრავალგვარ ასპექტში არის ხოლოშესხმული დიდი ვარპეტის პოეზიაში მისი ძირითადი [illegible] [illegible] [illegible]

ერთი ქარხნის ქალები

ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთის ბევრ სახელმწიფოში დიდი მოთხოვნაა სოხუმის ხელსაწყოების ქარხნის პროდუქციაზე. ეს არის პირის გადასაღები ჰექტოგრაფიული თერმოაპარატები, ავტომატური ნუმერატორები და ორგტექნიკის სხვა საშუალებები, აგრეთვე პასტაკალმების პრეციზიული ბურთულები. საწარმოში პროდუქციის გამოშვება სისტემატურად იზრდება.

ბევრი იმათგანი, ვინც ქარხნის გახსნის წელს აქ სკოლის მერხიდან მოვიდა, ახლა მუშაობს საამქროსა თუ უბნის უფროსად, დაეუფლა რთულ პროფესიებს, მოწინავე მუშაკი გახდა. მათ შორის ბევრი ქალია. ისინი ქარხნის დიდ ძალას წარმოადგენენ. მათი გამოცდილება და ცოდნა ხელს უწყობს წარმოების ტემპის დაჩქარებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — რამდენიმე წელს მუშაობდა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ზნია კინჭოლია. ახლა იგი კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანია, მაგრამ მშობლიურ საწარმოსთან კავშირს არ წყვეტს. ამ სურათზე აღბეჭდილია მისი შეხვედრა პრეციზიული ბურთულების კონტროლის საამქროს მუშა კომკავშირელებთან; ქვემოთ — პასტაკალმების საუკეთესო აწყობის სახელი მოიხვეჭა კომუნისტმა ლამარა ცუმბამ. მან საამქროში პირველმა შეასრულა პირადი ხუთწლედი. ლამარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატია; მარჯვნივ — გულმოდგინედ ამოწმებენ პრეციზიული ბურთულების ხარისხს ინჟინერ-ტექნოლოგები ზინაიდა შამაევა და ელისაბედ ალანია.

ი. ჰუსონშვილიძისა და ა. რუსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რაც თვალს არ გამოეპარა

გულიათები?

მამას რომ ბრგე ვაჟიშვილი წამოეზრდება, სიხარულით ცას ეწევა და იტყვის: — რა ვაჟკაცი მეზრდება, პირდაპირ გოლიათია!

— დედა ენაცვალოს ჩემ ბიჭსა, ბეჭებზე საბელიც არ გასწვდებაო — უდასტურებს დედა.

ალბათ თავის დროზე ასე ამბობდნენ ჩემი მშობლებიც. მაგრამ ახლა მე მკითხეთ, რა დამიჯდა ჩემი სიძალღე და სიგანე?! თავში ხელი მაშინ შემოვირტყი, როცა „ნპ“ ზომის კოსტიუმი ალარ მოსერგო და სამუდამოდ ამეკრძალა შეკერილების მაღაზიაში შესვლა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თბილისში, პეკინის ქუჩაზე, ერთ-ერთ მაღაზიას წააწერეს „გოლიათი“. ვიფიქრე, ახლა მაინც მეშველა-მეთქი და იქით გავეშურე. ნთქვამია, „საქონელს თვალი სჭამსო“, და ერთ კოსტიუმს წავეტანე. რვეულის ფურცლის ოდენა თეთრ ტილოზე, რომელიც გრძელი ძაფით ეკიდა კოსტიუმს, „ნნ“ იყო გამოსახული. მინდოდა სახელოში ხელი გამეყო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სად მე და სად ის.

— იქნებ „ნმ“ გქონდეთ? შეეკითხე გოგონას. ცივი უარი მივიღე.

— არც გქონიათ?

— არა!

— აბა, რაღა გოლიათების მაღაზია, — აღმომხდა წყენით და გამეოდგელს მივაჩერდი. უცებ მოიღრუბლა და ერთი ისეთი გამომხედა, თითქოს ყველის ნაჭერზე წაესწროს კატისათვის.

— აბა, სპილოების მაღაზია ჯერ არ გახსნილა, ბატონო, — იყო მისი კონტრპასუხი.

ცივად გამოვბრუნდი, ცოლშვილი გამახსენდა, შარში არ გავეხვიო, გაცლა სჯობს-მეთქი და სახლში წავედი.

საგონებელში ჩავვარდი. მე ვარ უზომო თუ „გოლიათების“ საქონელი; ბოლოს ახე დავაყენე საკითხი — მე ხომ მაინც უნდა ვიცოდე ჩემი ზომა!

ისევ ძველ გზას დავადექი. პლეხანოვის ქუჩაზე ატელიეს გაქონილი კარები შევალ. მაგიდაზე დიდი მაკრატელი ძევს. კიბერზე ზონარგადაკიდებულმა მელოტმა ხელოსანმა მიცნო, გამიღიმა, შევეკითხე, მიპასუხა:

— უკანასკნელად რუხი კოსტიუმი რომ შეგიკერეთ, „ნ4“-ის ქარგაზე გამოვჭერი; შე კაი კაცო, სოკო ხომ არა ხარ, ყოველდღე გაიზარდო, სულ ეგა ხარ, მორჩა და გათავდა...

აი, ამან კი სოკოს შემადარა. სოკოსა და სპილოს შორის დიდი მანძილია, მაგრამ რას ვიზამ, ისა სჯობია გავიგო — მე ვიზრდები თუ სტანდარტები პატარავდება.

ერთ მეგობარს გავუმხილე: კაცო, ეს ოცი წელია „ნ4“ ზომა ვიაცავი, ახლა კი „ნ8“-იც ალარ მერგება. თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რა ხდება, კიდევ ხომ არ ვიზრდები?

— რა ხდება და, ხომ იცი, ყველას პურის ჭამა უნდა... დიდი ზომის ტანსაცმელს დიდი ხარჯი აქვს. იარლიყზე კი რასაც გინდა, იმას დაწერ. მან ისიც მითხრა სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი არსებობს, ოქ იკითხეო...

ჰო, წავალ, ვიკითხავ, მაგრამ მე ხომ ერთი არა ვარ? ჩემს დღეში რამდენია?!

გვიშველეთ რამე, ან ეს სტანდარტები ჩააყენეთ კალაპოტში, ანდა ჩვენ გვასწავლეთ, როგორ ჩავეტეოთ სახელმწიფო სტანდარტების კალაპოტში.

ვლ. მჟელდიშვილი.

შოთაოგა იყალთოში

თელავი. (საკ. კორ.). კვირას, 26 ოქტომბერს დიდი ზეიმით აღინიშნა სოფელ იყალთოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შოთაობა“, სოფლის თავში, უძველესი აკადემიის ნაფუძვარზე დილადანე ხალხმა მოიყარა თავი. გარდა იყალთოელებისა აქ ბევრი სტუმარი მოვიდა თბილისიდან, თელავიდან, მეზობელი რაიონებიდან, ახლო სოფლებიდან.

სტუმართა შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა, აკადემიკოსები ა. ზურაბაშვილი, ვ. ბერიძე, თ. გამყრელიძე, პროფესორები ი. ბოცვაძე, ტ. სარიშვილი, ქალის საერთაშორისო წლის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი პროფესორი თ. გოთუა, სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვლ. ბასკადარი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი პოეტი ი. ნონეშვილი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დ. გოგოხია და სხვები.

ზეიმი იწყება. შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის ღია მეცადინეობა გახსნა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ჯაბადარმა. მოხსენებით გამოვიდა ამ სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გ. შათირიშვილი.

შემდეგ აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“.

სიტყვას ამბობს პოეტი ი. ნონეშვილი. იგი მხურვალედ მიესალმა შეკრებილთ და წაიკითხა თავისი ლექსები. შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, პროფესორი ო. გოთუა, პოეტი შ. ხოდაშნელი, მწერალი ო. ელანიძე.

მოეწყო ზეპირი ჟურნალი „შაიორბა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ს. ჩხუკანიშვილმა, ყ. ყურშიტაშვილმა, გ. მრელაშვილმა, სახალხო მთქმელმა ნ. გორელაშვილმა და სხვებმა.

ზეიმი აკადემიის შემოგარენში გაგრძელდა. გაიმართა ცეკვა-თამაში, ჭიდაობა. ბევრი დამთვალიერებელი ქყავდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენას.

ზეიმს ელფვერი შემატეს ქ. თელავის ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა „მრავალეამიერმა“ და სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა.

აკადემიის ნაფუძვრიდან ზეიმმა სოფელში გადაინაცვლა.

ა. თვალიაშვილი.

ქურნალების ახალი ნომრები

„საბჭოთა ხელოვნება“ № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიურ ჟურნალ **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი, მეათე ნომერი.

„საქართველოს ბუნება“ № 10

გამოვიდა ყოველთვიურ სამეცნიერო-საწარმოო პოპულარულ ჟურნალ **„საქართველოს ბუნების“** მორიგი, მეათე ნომერი.

უნიკალური შემთხვევა გათუმის დელფინარიუმში

29 ოქტომბერს ლამით ბათუმის დელფინარიუმში უნიკალური შემთხვევა მოხდა. შარშან ზაფხულში შავ ზღვაში ინაპის რაიონში დაჭერილმა დელფინმა „მაშამ“ შთამომავლობა მოგვცა.

დელფინარიუმის ახალი მობინადრე დაახლოებით 10 კილოგრამს იწონის, ვისი სიგრძეა 80-მდე სანტიმეტრი. პატარა კარგი შესახედავია, მკვირცხლია. იგი აქტიურად ცურავს დედის გვერდით, რომელიც მას კვებავს, წყალქვეშ პირნი უსხამს მაღალკალორიულ რძეს, რომელიც 50 პროცენტზე მეტ ცხიმს შეიცავს.

დელფინარიუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა მუდმივი გულდასმითი მეთვალყურეობა დაუწესეს ახალშობილს.

— ბათუმის დელფინარიუმში მომხდარ უნიკალურ შემთხვევას, — თქვა საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების დირექტორმა ლ. წულაძემ, — უაღრესად დიდი მეცნიერული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. პირველი შემთხვევაა ჩვენს ქვეყანაში, რომ დელფინი ტყვეობაში დაიბადა. ეს იმის დამოიმედებელი პერსპექტივას გვაძლევს, რომ დელფინებს ხელოვნურად მოვამენებთ და მოვაშინაურებთ, რათა გამოვიყენოთ ისინი ადამიანის თანაშემწეებად მსოფლიო ოკეანის შესწავლასა და ათვისებაში.

ა. ვიბანასკი,
(საქინფორმის კორ.).



სურათზე: ბათუმის დელფინარიუმის ახალი ბინადარი თავის დედასთან — „მაშასთან“ ერთად.

ნ. აშანასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ივანე ჯავახიშვილს მიეძღვნა

მემავალი წლის აპრილში აღინიშნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მეთავის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის უნივერსიტეტმა, ჟურნალისტთა კავშირის საუნივერსიტეტო ორგანიზაციამ და საქართველოს კპ კახეთის რაიკომმა ი. ჯავახიშვილის მშობლიურ —კახეთის რაიონში მოაწყეს სამეცნიერო-სპორტული ექსპედიცია.

დიდგორის ველისაკენ მიმავალ ბილიკებს დაადგა 16 მხედარი —უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, ასპირანტები, სტუდენტები და კახეთელი ენთუზიასტები: ნ. ტაბიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნ. ასათიანი, გრ. ფარულავა, ზ. ყვანია, ზ. კიკნაძე, გ. ჯაფარიძე, ო. გოგიჩაიშვილი, თ. ტყემალაძე, რ. ურუშაძე, პ. ნაცვლიშვილი, ზ. დვალი, გ. მანია (ლაშქრობის მეთაური), ხოლოდ ი. ჯავახიშვილის მემორიალური მუზეუმის გამგე ო. ელისაბედაშვილი, მეტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მხატვარი დ. ნავრაზაშვილი, კახპის სატყეო მეურნეობის მუშაკები ზ. გოგოლაძე და გ. კობაიძე.

სამი დღის განმავლობაში ავდრის მიუხედავად ექსპედიციამ მოიარა დიდგორის ველი — სადაც 1121 წლის აღვსებაში ქართველთა ერთიანმა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქ-სელჯუკებზე. შემდეგ ქართლისა და ქსნელისის მიდები, რომლებიც, აგრეთვე მრავალი ისტორიული ამბის მსმენელია: აქ თამარ მეფის, გიორგი საკაძის, თევდორე მღვდლის და სხვათა ნაგზურია, ბოლოს მთიდან ბარისაკენ მიმავალ ბილიკებს დაადგნენ, გაიარეს სოფლები შუბათი, ბოტისი, პარატისი, გუდალეთი, თვალადი, ნოსტა, ანალეტი, ახალქალაქი, ზემო ხანდაკი და ორას კილომეტრიანი მარშრუტი ი. ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში დასრულეს.

ექსპედიცია გაეცნო ამ კუთხის წარსულს, ხოლო აწმყოსა და მომავლის შესახებ მან კახეთი თანამზრავრები ესაუბრებოდნენ.

გ. შეყილაძე.

დიდი მსახიობის მოსაგონებლად

ამ დღეებში თავისი მე-4 სეზონი გახსნა აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა.

სეზონი გაიხსნა დიდი ქართველი მსახიობის აკ. ხორავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამოთი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ. დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა მოისმინა ფირზე ჩაწერილი სცენები სპექტაკლებიდან „ანზორი“, „რღვევა“, „არსენა“, „ოტელო“.

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ფრაგმენტები სპექტაკლებიდან „ყაჩაღები“, „არსენა“, „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“, „ოიდიპოს მეფე“...

სალამოში მონაწილეობა მიიღეს და მოგონებებით გამოვიდნენ მსახიობები ნ. ლაფაური, ალ. თოიძე, აკ. ვასაძე, გ. გეგეჭკორი, კ. მახარაძე, თ. ბაქრაძე, ტ. საყვარელიძე.

პარტია გადაიდო

გუშინ ბიჭვინთაში გაიმართა ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას მატჩის მეხუთე პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი.

პარტია გადაიდო რთულ დაბოლოებში, შავებმა ჩაიწერეს 42-ე სვლა.

დაფაზე ასეთი მდგომარეობაა:

თეთრები: მფხ2, კe4, კg5, მf4 a2, b3, h2.

შავები: მფt7, კd7, მe7, მf5 a7, b6, g6.

ამ პარტიის დამთავრება შედგება დღეს.

თასი თბილისში რჩება

თბილისში, სკა-ს სტადიონზე ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თასის გათამაშების ფინალი ფეხბურთში.

წარმატებით გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდი (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი), რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი და საპატიო თასი მოიპოვა. ადრე ამ პრიზს ფლობდნენ ოდესელი ფეხბურთელები.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდის თავდამსმენელი ტარიელ დვალიშვილი 10 გატანილი ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ტანვარჯიშში

„უემბლის“ დარბაზში

- **პაატა შამუგიას „ოქრო“**
- **ლიუდმილა ტურიშჩევას კიდევ ოთხი მედალი**

ლონდონში „უემბლის“ რვათასიან სპორტის სასახლეში დამთავრდა მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა.

შეჯიბრების ბოლო დღეს სპორტსმენებმა გაითამაშეს პირველობა ცალკეულ სახეობებში. კარგად გამოვიდა **თბილისელი** ტანმოვარჯიშე **პაატა შამუგია,** რომელმაც **ოქროს მედალი მოიპოვა ხტომებში.** ასეთივე ჯილდო ხვდა ორძეულზე ვარჯიშისათვის მსოფლიოს თასის მფლობელს ვლადიმერულ ნიკოლოს ანდრიანოფს. რგოლებსა და თავისუფალ ვარჯიშში უძლიერესი იყვნენ იაპონელები მ. ცუკაჰარა და ხ. კიძიამა.

ქალებში კვლავ ტრიუმფით გამოვიდა მსოფლიოს თასის მფლობელი, როსტოველი ლიუდმილა ტურიშჩევა. მან მოიპოვა „მთელი ოქრო“ — პირველი ადგილები მრავალქიდის ოთხივე სახეობაში. გროდნოელი ო. კორბუტი ტრავმის გამო შეჯიბრების ბოლო დღეს არ გამოდიოდა.

სულ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა „უემბლის“ თაღებქვეშ მოიპოვეს რვა ოქროს, შვიდი ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი.

სურათზე: პაატა შამუგია.

ცხარე დღეები ბიჭვინთაში

ბიჭვინთა. (ჩვენი სპეც. კორ.). ბიჭვინთაში ცხარე დღეებია. ზუსტად 16 საათსა და 30 წუთზე ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი, შეჯიბრების მთავარი არბიტრი მიროსლავ ფილიპი რთავს საათებს და იწყება მორიგი პარტია. მაყურებლებით სავსე დარბაზი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალების ორთაბრძოლას.

სცენის მარჯვენა მხარეს მსაჯების მაგიდასთან ფილიპი და მისი მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი თამარ სტრანდსტრემი იმყოფებიან: ხომ დაძაბული ბრძოლაა, მაგრამ მსაჯებს ჯერაც არ დასჭირვებიათ ტრადიციული წარწერის გამოკვრა — „დიალაცი სიწყნარე!“. ათასში ერთხელ, ბრძოლის მეკუთე საათისთვის, როდესაც გულმშტკივნეული გაცხოველებით იწყებენ პოზიციის შეფასებას, ფილიპი მაგიდას სცილდება და გადასდგამს ხოლმე სატურნირო დარბაზს.

სანამ პარტია მიმდინარეობს, ყველაზე მოუსვენარ ადგილად პრესცენტრი ითვლება. აქ პირდაპირ სცენიდან გადასცემენ სვლებს. დაფებს უსხედან მრავალნაირი ჟურნალისტები, რომლებიც მსოფლიო პირველობის არაერთ მატჩს დასწრებიან. ვიქტორ ვასილიევი „სოვეტსკი სპორტმა“ და „კომსომოლსკაია პრავდამ“ მოავლინეს. ცნობილია, როგორ ღელავს ავტორი ყოველი ახალი წიგნის გამოსვლის წინ და აი ამ დღეებში თბილისში გამოდის ვასილიევის ახალი ნაშრომი „ვასტანგ ქარსელაძე“. ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას პირველი მასწავლებელი ვერ მოესწრო თავისი მოწაფეების შერკინებას. ვასილიევი ამბობს, რომ მისი წიგნის გამოცემა ქალაქში, სადაც ვასტანგ ქარსელაძეს ყველა იცნობდა, ავტორის ამოცანას ფრიად საპასუხისმგებლოდ ხდიდა.

ბიჭვინთის ჟურნალისტთა „კორპუსი“ ხომ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ადგილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, ბევრი სპეციალისტი რომ ალაოთხინის მემორიალსა და ფერენში მომდინარე ქალთა საკავშირო ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირებზე ერთ-ერთ ადგილს ეძებდა. ბევრ ადგილას ერთ-ერთ ადგილზე ეს ადგილი ეკავა ... ...